# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


**№ 6** **1883-1891** 30 მარტი.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულის ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## სასულიერო მახარებელი საექსარხოსოესა.

(დასასრული *).

დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთის ეპარქიებში გავრცელდა ეპარქიალური გამოცემანი. ამ გამოცემათა გამრავლება გამოიწვია ოფიციალურ მიწერ-მოწერის საქმემ სამღვდელოებასთან. ყველამ იცის, რომ წინეთ ყოველი მიწერ-მოწერა სინოდისა და ეპარქიის მღვდელ-მთავრებისა სამღვდელოებასთან ქაღალდზედ იწერებოდა და ბლალოჩინების საშუალებით ეცხადებოდა სამღვდელოებას. ასეთი მიწერ-მოწერა არა მცირე ხარჯს ითხოვდა კონსისტორიებისა და საეპარქიო კანცელარიებისაგან. შემდეგ ამ ხარჯის შესამცირებლად დაიწყეს «ეპარქიალური ფურცლების» გამოცემა. ხარჯის შემცირების გარდა ამ «ეპარქიალური ფურცლების» საშუალებით ყოველი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე ადვილად ტყობილობდა სასულიერო მთავრობის ყოველივე განკარგულებას და მასთან ამ ოფიციალურ მიწერ-მოწერის ხარჯი გაიწერა მრევლის ეკკლესიებზე. პირველად ამ ფურცლებში მხოლოდ ოფიციალური განკარგულებანი და უქაზები იბეჭდებოდენ. შემდეგ იწყეს ბეჭდვა ზოგიერთი სტატიებისაც, რომელნიც შეეხებოდენ როგორც სასულიერო წოდებას, ისე საეკკლესიო საგნებს.

*) იხ. «მწყემსი» № 5 1891 წ.

თბილისი

მაგრამ ამ ბოლოს დროს უწმიდესმა სინოდმა თავისი უკაზების და განჩინებათა გამოცხადების საქმე სულ სხვა რიგათ დააყენა. სინოდმა დაარსა თავისი საკუთარი ოფიციალური გამოცემა უწმიდეს სინოდთან. ეს გამოცემა არის «საეკკლესიო უწყებანი», რომელშიაც დღეს იბეჭდებიან უმაღლესი მანიფესტები და სინოდის უკაზები. სინოდმა ამ გამოცემის გამოწერა დაავალა ყველა ეკკლესიებს იმპერიაში. დღეს ეს გამოცემა გამოწერილი აქვს ყოველი ეკკლესიის კრებულს, რომელმაც კი რუსული წერა-კითხვა იცის. სავალდებულოც რომ არ იყოს ეს გამოცემა, იმას მაინც ყველა გამოიწერს თავის ფულითაც. ჯერეთ გამოცემა არის დიდი და კვირაში ერთხელ გამოდის. ყველა უმაღლესი მანიფესტები, უკაზები სინოდისა და შესანიშნავი განკარგულებანი უმაღლესი მთავრობისა შეგვიძლიათ შეიტყოთ თავის დროზედ. ამ გამოცემის არა ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებიან შესანიშნავი სტატიები და შენიშვნები ცხოვრების კითხვების შესახებ. ამას გარდა ამ ჟურნალთან თქვენ მოგდისთ მშვენიერი და სასარგებლო დამატებანი მეურნეობის, ექიმობის და ოჯახობის კითხვების შესახებ. და ყველა ესები ღირს 3 მან. სინოდის გამოცემის ასეთი გაუმჯობესება ეკუთვნის ამ გამოცემათა უფროსი რედაქტორის, ისაკიევის საკრებულო ტაძრის დეკანოზის პეტრე სმირნოვის გამჭრიახობას.

შემდეგ სინოდის გამოცემის დაარსებისა ეპარქიალურ გამოცემათა პროგრამმა უმაღლესის მანიფესტების და სინოდის უკაზების ბეჭდვის შესახებ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდისაც ვერ ვხედავთ მათში სასურველ ცვლილებათა. მრავალი ეპარქიალური გამოცემანი დღესაც ისევ ძველებურად ბეჭდავენ უმაღლეს მანიფესტებს და სინოდის უკაზებს საეკკლესიო უწყებიდამ. ეს შეცდომა მოსვლია ახლად დაარსებულს ჟურნალს «საქართველოს მახარებელსაც». ამ ჟურნალშიდ ჩვენ ვკითხულობთ საეკკლესიო უწყებიდამ გადმობეჭდილს უკაზებს და განჩინებათა. რაღა საჭირო იყო ამათი გადმობეჭდვა, როდესაც ყველა მღვდელს და ეკკლესიას უფრო ადრე ჰქონდათ მიღებული და წაკითხული ეს უკაზები?.. ის, რაც დაბეჭდილია და გამოცხადებული საეკკლესიო უწყებაში, საჭირო აღარ არის ხელახლად ბეჭდონ ადგილობრივ გამოცემებში და ამაზედ ფული დახარჯონ ტყუილ უბრალოდ. სულ სხვა იქნება, რომ ეს უკაზები ქართულად იბეჭდებოდენ ჩვენი სამღვდელოებისათვის. ჩვენ იმედიცა გვაქვს, რომ სამღვდელოების სურვილს დააკმაყოფილებს ახლად დაარსებული ჟურნალი.

ახალი ჟურნალის «საქართველოს საექსარხოსოს მახარებლის» რედაქციის პირველ სიტყვაში ნათქვამი იყო, ვითომ ჩვენი გამოცემა «მწყემსი» გავრცელებული იყო სამღვდელოებაში და ხალხში, რადგან მასში ოფიციალური განკარგულებანი იბეჭდებოდენ უშეტესად. ეს აზრი, ჩვენის ფიქრით, ძალიან შემცდარია. შენიშნულია საზოგადოდ, რომ ოფიციალური განყოფილება ნაკლებად იკითხება სამღვდელოებისა და საზოგადოებისაგან. ეს ცხადათ არის შენიშნული რუსეთის ეპარქიებშიაც. ვიატკის ეპარქიაში მღვდელ-მთავარმა ბლაღოჩინებს დაავალა, რომ სამღვდელოებამ არ დასტოვოს წაუკითხავი ეპარქიალური გამოცემა და ამისათვის სხვა და სხვა ზომებს ხმარობენ სამღვდელოების წასახალისებლად. ამიტომ, მაინც და მაინც, ძლიერ არ უნდა გაიკვირვონ, როდესაც ეპარქიალურ გამოცემათა ფურცლები გაუჭრელი ხახონ ჩვენს ეკკლესიებში და ეს სამწუხარო მოვლენა მარტო ქართველების დაუდევნელობას არ უნდა მიაწერონ.

რუსეთის ეპარქიებში ზოგიერთი ეპარქიალური გამოცემანი, მართლა, ძლიერ ცუდად გამოდიან. სამღვდელოება იმდურება, რომ თავის დროზედ ჟურნალს ვერ იღებენ და როდესაც მიიღებენ, მათში საინტერესო საკითხავებს ვერ ჰპოულობენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ გამოცემათა რედაქტორები გარდაწყვეტილ ჯამაგირებს მაინც აიღებენ, რადგან ხელის მოსაწერ ფულს ყველა ეკკლესიებიდგან უკლებლად მიიღებენ. ამიტომ მათთვის სულ ერთია, საინტერესო საკითხავი იქნება გამოცემა თუ არა...

ჩვენი საექსარხოსოს ახალი გამოცემის საქმეს კი სულ სხვა მიზეზები და დაბრკოლებანი შეხვდება და დიდი გამჭრიახობა ჰმართებს ამ გამოცემის რედაქტორს, რომ ყველა ამ დაბრკოლებათა დასძლიოს და გამოცემა სახალისო საკითხავად გახადოს საექსარხოსოს ყველა სამღვდელოებისათვის. აქ რედაქტორს ერთი-ორი შრომა მოელის. თუ მარტო რუსულ ენაზე ჰბეჭდა იგი, უმეტესი ნაწილი სამღვდელოებისა დარჩება უცნობი, რადგან მრავალი რუსულად წაკითხვას ვერ შეიძლებენ. მეტი ღონე არ არის, ქართული განყოფილებაც უნდა მოათავსოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ №-ში. თუ იმდენი ადგილი დაუთმო ქართულ განყოფილებას, რამდენიც პირველ №-ში ჰქონდა დათმობილი, სრულებით საკმარისი იქნება. მაგრამ მთარგმნელები უნდა იყვნენ ამორჩეულნი ქართული ენის და ლიტერატურის მცოდნენი და არა იმისთანა უვიცნი, როგორებიც აღმოჩნდნენ პირველი №-რის მთარგმნელნი.

ძლიერ კარგს ინებებს ახალი ჟურნალის რედაქტორი, რომ ქართულად დაწერილს ორიგინალურ სტატიებსაც მიიღებდეს. იმისთანა განკარგულებათა დაბეჭდვა მოსამსახურე პირთა გადაყვან-გადმოყვანის შესახებ, როგორებიც პირველ №-შიდ იყო, ჩვენგან ძლიერ დაშორებულ გუბერნიებში მოსამსახურე პირთა შესახებ, საინტერესო ცნობად არ ჩაითვლება ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოებისათვის. რა საინტერესო ცნობას შეადგენს ჩვენი სამღვდელოებისათვის, ვსთქვათ, ირკუტსკის ეპარქიიდგან ეპისკოპოსის გარდაყვანა პენზის ეპარქიაში? იქნება სთქვას ვინმე, რომ ეს ცნობები მარტო ჩვენი საზოგადოებისათვის კი არა, მთელი რუსეთის საზოგადოებისათვის იბეჭდებაო. ამისთანა ცნობები უნდა გადმობეჭდილი იყვნენ უთუოდ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიდგან და აქიდგან რომ ჩვენ მეოთხე თოვეზედ ეს ცნობები რუსეთის მკითხველებს შევატყობინოთ, ვის თვის რა საინტერესო იქნება!?

ძლიერ სასიამოვნო იქნება, რომ ყველა ჩვენი ეპარქიების ოფიციალური განკარგულებანი ამ ჟურნალში იბეჭდებოდეს და ამით, როგორც კანტორას, ისე საეპარქიო კანცელარიებს მიწერ-მოწერის ხარჯი და შრომა შეუმცირდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ძნელი ასასრულებელი იქნება, რომ ერთ გამოცემაში იბეჭდებოდეს ხუთი ეპარქიის ოფიციალური განკარგულებანი.

თანამშრომლების მხრით, ჩვენის აზრით, დაბრკოლება არ უნდა შეხვდეს ახალს ჟურნალს, რადგან ამისთანა პირები მრავალია ჯერ მარტო სემინარიაში, რომ სახეში არ მივიღოთ ექვსი სხვა და სხვა სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი, უმაღლეს სასწავლებლებში კურს დასრულებულნი და სალიტერატურო ასპარეზისათვის მშვენიერად დამზადებულნი. სრული იმედია, რომ ყველა ეცდება თავის ტალანტი არ დამარხოს მიწაში, მაგრამ რედაქციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ზოგიერთების ნაშრომს და ნაწერს, რომ ხუთჯერ დაბეჭდილი მეექვსეთ არ დაიბეჭდოს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს შემოიჩინა იმისთანა მწერლებმა, რომელნიც სხვის დაწერილს ოსტატურად გაადაკეთებენ და თავის ნაშრომად აბეჭდინებენ სხვა და სხვა გამოცემებში. ჩვენ ვიცნობთ ერთი რუსის დეკანოზს, რომელმაც ძლიერ ოსტატურად გადააკეთა პატივცემული დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანის, მურავიოვის, დუბროვინის, ბროსსესი და სხვა არქეოლოგიური და ისტორიული აღწერილობანი ძველი ტაძრების და ჩვენი ქვეყნის ძველ ნაშთთა გამოკვლევანი და თავის ორიგინალურ ნაშრომად გაჰგზავნა რუსეთის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში, რომლისათვის კარგა ბლომად გონორარიც მიიღო და არქეოლოგიის და ისტორიკოსის სახელიც დიდი მოიხვეჭა.

ყველა, რაც ვსთქვით ამ ახალი ჟურნალის გამოცემისა გამო, ჩვენ გვაიძულა ამისი თქმა ერთად ერთმა ამ ჟურნალის სიკეთისა და წარმატების სურვილმა და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ რედაქციაც ამ ახლად დაარსებული ჟურნალისა ამავე მნიშვნელობას მისცემს ჩვენს სიტყვებს და არა სხვას. ესაა ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა ამ ახლად დაარსებული ჟურნალის შესახებ. სხვა მისი შემდეგი წარმატება დამოკიდებულია რედაქციის გამჭრიახობაზედ.

## სწავლა-განათლების საქმე რაჭის მაზრაში და კუდაროს (ოსეთში) საეკკლესიო სამრევლო სკოლის მდგომარეობა.

ამ მეცხრამეტე საუკუნემ უხვად მოჰფინა თვისი განათლების სხივი ყოველ ქვეყანას. როგორც განათლების საუკუნემ მან თვალსაჩინოდ დაასვა თვისი ბეჭედი ყოველ მხარეს კაცის ცხოვრებისას. «სწავლა სინათლეა — უსწავლელობა სიბნელეო» გაიძახის ყოველი წოდების პირი. დღეს ყველანი თანაუგრძნობენ ნეტარხსენებული პოეტის დ. გურამიშვილის სიტყვებს, რომელიც ამბობს:

«მშობელთა შვილი უწრთვნელი
აროდეს მისცემს ლხენასა,
სულთა წარწყმედას და ხორცსა,
მიუთხრობს მათ შერცხვენასა.
უწრთვნელი მამის ჭკუა სჭამს,
უწრთვნელი შვილის ჭკუასა».

შეწევნითა ღვთისათა რაჭველებიც შეიქმნენ თაყვანის მცემელნი ამა მცნებისა. ამათაც მოაშურა განათლე-

ბის სხივმა. მართალია, განათლების საქმე ჩვენში ჯერ კიდევ ისევ კვირტიდამ გამოუსვლელია, მაგრამ, იმედია, მომავალში აქაც სიმწიფეში შევიდეს. როგორც სხვაგან, აქაც თან-და-თან მატულობს სკოლების რიცხვი. საერო სკოლებს გარდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებიც არსდებიან. აქაც არსებობს ეგრეთ წოდებული იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლის რჩევის განყოფილება, რომელსაც მიზნად აქვს საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსება მაზრაში და მათი კეთილ ნიადაგზე დამყარება. რჩევის განყოფილებას შეადგენენ ერთად თავმჯდომარე და ოთხი წევრი. რიცხვთა შორის წევრთა ორი საერო საპატიო პირნიც ურევიან: ზ. მაზრის უფროსი ივანე ქ. ქავთარაძე და მომრიგებელი შუამავალი თავადი ლუარსაბ ოტ. ყიფიანი.

ვითარცა წევრი რჩევის განყოფილებისა, ზ. მაზრის უფროსი მხურვალე მონაწილეობას იღებს საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებაში. მათ ხშირი შემთხვევა აქვსთ სოფლებში მსვლელობისა. ყველგან, სადაც კი საეკლესიო-სამრევლო სკოლა არსებობს, ზ. მაზრის უფროსი შედის სკოლაში, სცდის შაგირდებს და უჩენს ჯეროვან შემწეობას სკოლასაც და მასწავლებელსაც. სულ სამი წელიწადია, რაც რაჭაში სამრევლო სკოლების რჩევის განყოფილება არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ხუთამდე საეკლესიო-სამრევლო სკოლა დაარსდა შემდეგ სოფლებში: კუდაროში, მეგლევში, ფუტიეთში, ბავრაში და ხონჭიორში. სამწუხაროდ, ამ სკოლებში ორი: კუდაროის და მეგლევის, რომლებიც საუკეთესო სამრევლო სკოლებად ითვლებოდნენ, ამ ჟამად დაუქმებულნი არიან. პირველის დაუქმების მიზეზი მრევლის მღვდლის მოუცლელობას და მისი თანაშემწის მასწავლებლის გულ-აცრუებას მიეწერება; ხოლო მეორესა კი მღვდლის დაუდევნელობას. მეტად სამწუხაროა კუდაროს სამრევლო სკოლის გაუქმება, ვინაიდგან მკვიდრთა შორის ამა ხეობისა სწავლა-განათლების საქმეს ჯერ ისევ ბნელი ზეწარი აქვს დახურვილი.

ამა წლის თებერვლის პირველ რიცხვებში კუდაროს სამრევლო სკოლის მასწავლებლის თანაშემწემ ვასილ იაშვილმა განაცხადა ოფიციალურად სასწ. რჩევის განყოფილებაში, რომ ის, რამდენიმე თვე უქმად არის, რადგან ოსები სკოლაში ბავშვებს აღარ გზავნიან და გთხოვთ განკარგულება ჰქნათო.

მასწავლებლის თანაშემწის ამ გვარმა განცხადებამ მეტად გააცვიფრა რჩევის თავმჯდომარე, დეკანოზი ალექსი გიორგობიანი, ვითარცა მეთვალყურე (наблюдатель) მისდამი საბლაღოჩინოის ოლქის საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა; დეკანოზმა მიმიწოდა მე, ერთად მასთან გავემგზავრეთ კუდაროში იქაური სამრევლო-სკოლის გარემოების გამოსაკვლევად. დაბა ონიდამ კუდაროს ხეობამდის 40 ვერსია. 4 თებერვალს, დილის 10 საათზე გამგზავრებული, როგორც იქმნა საღამომდის მივაღწიეთ სოფ ჩასავალში. მრევლის მღვდელი სადღაც შორს სოფელში მიცვალებულის საქმეზედ მიეწოდებინათ. რადგან მეორე დღისთვის ხალხის ყრილობა საჭირო იყო, ამისთვის დეკანოზმა უბრძანა ჩასავლის მამასახლისს შეეტყობინებია სხვა მამასახლისებისათვისაც და დილისათვის შეეკრიბათ ხალხი ეკლესიის გალავანში.

მეორე დღეს, დილის 11 საათზე მოვიდა მრევლის მღვდელიც. ჩვეულებრივის სალამის შემდეგ, ჩვენ განუცხადეთ მას მიზანი ჩვენი მისვლისა და მასთან საყვედურიც, ვინაიდგან მან ვითარცა პირველმა მასწავლებელმა რწმუნებულ მისდამი სამრევლო სკოლისამ თავის დროზე არ აუწყა რჩევის განყოფილებას გარემოება სკოლისა. მღვდელმა გვ პასუხა: «მართალია, მე ვითვლები პირველ მასწავლებლად სამრევლო სკოლისა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ სიმართლე, რომ მე ვატარებ მხოლოდ სახელს მასწავლებლობისას და საქმით კი არასოდეს ვაკეთებ. არ ვაკეთებ მისთვის კი არა, რომ მე დაუდევნელი ვიყო და დროს უქმად ვატარებდე, არამედ მრევლთაგან ხშირი მოთხოვნილებისა გამო აღსასრულებლად სხვა-და-სხვა სამღვდელო წესთა, მე არ მაქვს არც ერთი საათი მოცალეობა, რათა შრომა ჩემი შევსწირო სკოლის საქმეს. რაიცა შეეხება ჩემი თანაშემწის სკოლისადმი მიმართულებას, მოგახსენებთ, რომ ის დღეს იმყოფება სკოლაში, ხვალ არა და ხან თითქმის თვეობითაც არ არის. ამ დროს ოთახში შემოვიდა ერთი მამასახლისი და მოახსენა დეკანოზს: «ბატონო დეკანოზ, ხალხი გელის გალავანში და მობრძანდი» ჩვენ წავედით. ეკლესიის გალავანი გაჭედილი იყო ხალხით და რაღაც ხმამაღალი ლაპარაკი გაისმოდა. ჩვენ გავედით სკოლის დერეფანზე. დეკანოზმა უბრძანა ხალხს დაჩუმება. ოსები დაჩუმდნენ. «შვილებო, დაიწყო დეკანოზმა: მე გავიგე, ვითომც თქვენ სკოლაში ბავშვებს აღარ გზავნით. ძლიერ ვსწუხვარ, რომ წიხლი გიკრავსთ ბედნიერებისათვის. თქვენი შვილებისათვის იმდენათ საჭიროა სწავლა, რამდენათაც ცოდვილთათვის ცხოვნება. ამას წინეთ ყოვლად სამღვდელო აღტაცებული დარჩა ამ სკოლაში ნასწავლ თქვენი პაწია ბალღების ცოდნით. თუ გახსოვსთ, ლოცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხევასთან მათმა მეუფეებმა მადლობაც გიძღვნათ, რომ თქვენ თქვენს შვილებს პირჯვრის გამოსახვა, ლოცვების წარმოთქმა და მცირე წერა-კითხვა შეასწავლეთ. თქვენ აღუთქვით, რომ სკოლის საქმეს არ უღალატებთ და შეძლებისა გვარად არ მოაკლებთ აღზრდას ჩვენს შვილებსო. დღეს რა პასუხს აძლევთ ან ღმერთს და ან მათ მეუფეებს, რომ შვილების აღზრდაზე ხელი აგიღიათ და შესულხართ ცოდვაში, თუ ამ კეთილ საქმეს მეტი სიცოცხლე არ ეღირსა თქვენში, რისთვის გასწიეთ შრომა, რისთვის ააგეთ სკოლის შენობა?..»

დეკანოზმა გაათავა თავის სიტყვა. ოსებში გაისმა ხმამაღალი დაუწყნარებელი ყაყანი. ვინ ოსურად იძლეოდა პასუხს, ვინ ქართულად, ვინ რას ამბობდა და ვინ რასა! ერთის სიტყვით, თვალ-წინ წარმოუდგა ბაბილონის გოდლის მაშენებელი ხალხის არეულობა.

ბოლოს დეკანოზმა უბრძანა ოსებს აღმოერჩიათ თავიანთ წრიდამ ვინმე ქართულ ენაზე მოლაპარაკე და მისი თარჯიმნობით ეთქვათ თავისი გულის პასუხი, ამ საქმის შესახებ. ოსებმა წარმოგვიდგინეს ერთი მოხუცებული ოსი, სახელად გოგია, რომელმაც მოგვცა შემდეგი პასუხი: «ვინ მოგახსენა, ბატონო დეკანოზ, რომ ჩვენ, ოსები სკოლაში შვილები არ გზავნენ, ვინ უთხრა თუ ოსებს, სწავლა არ უნდა? ჭაი ჭაი გინდა სწავლა ოსებს მარა ვინ გასწავლოს! მღვდელი სულ სოფელში წახვალ, მის პოპომნიკი აქ არ არის: და ვისთან წაიყვანე შვილები, შენი ჭირიმე? თუ იქნება მოწყალება, კარგი უჩიტელი დააყენებს და სკოლაში იქნება, ჩვენც გინდა, თუ არა ტყუილათ ბიჭება არ გააცდინებთ შენი ჭირიმე. ავთე»? მიმართა გოგიამ ხალხის ყრილობას; ავთე, ერთხმად დაიღრიალეს ოსებმა. (ასე არისო და ასე გახლავთო). ცხადი საქმეა მკითხველო, რომ ამ საქმეში სტყუიან მასწავლებელნი და არა ოსები; მაგრამ მასწავლებლებზედაც აი რა ითქმის: მღვდელს, როგორც თითონ ამბობს, მართლაც არა აქვს მოცალეობა სკოლისათვის. რამდენათ მართალია მისი მოხსენება, ამას დავამტკიცებ ფაქტით. მთელ გუდაროს ხეობას შეადგენს 15-დან აქა-იქ დაფანტული სოფლები: ჩასავალი, ლესორა, ნადარბაზევი, ნაკრები, ქასაგინა, ზამთარეთი, სინტაბათანა, ქვემო ბოყა, ზემო ბოყა, კობიეთი, ამანო, ქასქისტა, თამაგინა, ქაშნარი და ლეთა. ეს სოფლები არიან დაშორებულნი ერთმანერთზე რამტენიმე ვერსით და შეადგენენ რიცხვით 250 კომლზე მეტს; ეკუთვნიან ერთს სამწყსოს და ერთს მწყემს. ნუ თუ ამოდენა სამწყსოს პატრონს, კიდე შეუძლია სხვა ხელობის ტვირთვა და ნამეტურ სკოლის საქმის მმართვა? რაიცა შეეხება ამის თანაშემწეს, ესეც ღარიბი მღვდლის შვილია, ცოლშვილიანი და ოჯახში მარტო-ხელი კაცი; რასაკვირველია, ამისთვისაც ყოვლად შეუძლებელია უსასყიდლოდ იმსახუროს სკოლაში წლიდან-წლამდე მოუშორებლად! ყოვლად სანატრელია, რომ გუდაროს ხეობაში სკოლა არსებობდეს; მაგრამ უსასყიდლოთ მეტათ საძნელოა მასწავლებლისათვის აქ სამსახური. ამისთვის, ჩემის აზრით უმჯობესი იქნება აქაურ მღვდელს დაენიშნოს მედავითნეთ იმისთანა პირი, რომელსაც ოთხი კლასი მაინც ჰქონდეს დასრულებული. ჯამაგირი ექნება თორმეტი თუმანი, თორმეტ თუმნამდე სხვა შემოსავალიც და ოც-და-ოთხი თუმნით გვარიანად იცხოვრებს მარტოხელი კაცი და სკოლის საქმეც რიგიანად წავა.

მღვ. მიხეილ გავაშელოვი.

## მღვდლის საიდუმლო.

(დასასრული *).

ამ უბედურ გარემოებათა შორის მ. იოანნე ჰხედავდა ღვთის წყრომას, რომელიც ალბად მოევლინა მას რაიმე მისი დანაშაულობისათვის.

ორი-სამი დღის შემდეგ მ. იოანნემ გააგზავნა თავის მეუღლე გუბერნიის ქალაქში და გაატანა წერილი მღვდელ-მთავართან. ამ წერილში მ. იოანნე სწერდა მღვდელ-მთავარს, რომ მას არ შეუბღალავს მღვდელობა, რომელიც მისგან მიიღო, იმ ბოროტებით, რომელიც მას დღეს ბრალდება—მას შეეძლო დაესახელებია ივანოვის მკვლელი, მაგრამ არ შეუძლია მისი დასახელება, რადგან ეს დამნაშაობა შეიტყო თვით დამნაშავისაგან და კიდევ ის არის ყველაზე უმთავრესი, რომ ყოველივე ეს შეიტყო აღსარების დროსო.

მამა იოანნემ ეს წერილი გაატანა თავის მეუღლეს და მასთან დაავალა, რომ ყოვლად სამღვდელოსათვის შეებრალებია თავის მცირე-წლოვანი შვილები. ამის შემდეგ მ. იოანნე დაიმედებული იყო, რომ მღვდელ-მთავარი აღმოუჩენდა მას რაიმე შემწეობას, რომ თავი დაეღწია დასჯისა და კატორღისაგან.

*) იხ. «მწყემსი» № 5, 1891 წ.

მაგრამ ასეთი საშუალება არ მოიპოვებოდა, და მღვდელ-მთავარმა მხოლოდ ლოცვა კურთხევა გაუგზავნა მ. იოანნეს, და ურჩია სხვისი ცოდვისათვის სასჯელის მიღება მსგავსად ქრისტეს წამებისა.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ არასფერ პასუხს აძლევდა სამსაჯულოს მამა იოანნე თავის გასამართლებლად. ბოლოს მ. იოანნე გაასამართლეს და გაჰგზავნეს კატორგაში, თუმცა მას ამ დასჯის ღირსი არა ჩაუდენია რა.

თუმცა მ. იოანნე კატორგაში იყო, მაგრამ მისი სახლობა რიგიანად სცხოვრებდა, უხილავი ქველმოქმედნი უხვად უგზავნიდენ ფულებს მ. იოანნეს მეუღლეს და შვილებს. მ. იოანნეს ოჯახობა ფოსტით იღებდა ხოლმე კაი ძალ ფულებს უცნობ პირთაგან, რომელნიც აგზავნიდენ ფულებს ხან ოჯახის სარჩოდ და ხან „მრავალ წამებულის და ქველ-მოქმედის მ. იოანნეს“ შვილების გამოსაზრდელად.

ამ უცნობ პირთა შეწირულებანი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ უმტკიცებდენ მ. იოანნეს შვილებს მათი მამის სიმართლეს და მას, რომ იგი უბრალოდ იყო დასჯილი. ცხადი იყო, რომ ალბად ვინმემ იცოდა მ. იოანნეს სიმართლე და მისი წვალების სამაგიეროდ ჰსურდა დაესაჩუქრებია მისი შვილები. ეს ამტკიცებდა მ. იოანნეს სიტყვებს, რომელთაც დედა მუდამ უმეორებდა ხოლმე თავის შვილებს: „უთხარი ჩემს შვილებს, როცა ისინი გაიზრდებიან, რომ მათ მამას არა თუ მკვლელობით, არამედ უკანონო შეძენითაც კი არ შეუბღალავს თავის ხელები“.

ბოლოს ერთ უმაღლესს სამსაჯულოში მემამულე თეოდოროვმა შეიტანა განცხადება შემდეგი შინაარსისა:

„მრავალი წლის განმავლობაში მე ვმალავ ჩემს სულში საოცარს საიდუმლოს. ეს ისეთი სიმძიმეა, რომელიც არა თუ არ იკლებს, არამედ უფრო და უფრო ძლიერდება. იქამდის მიაღწია საქმემ, რომ მე სრულიად დავუძლურდი, და დღეიდგან მე აღარ შემიძლია დავფარო იგი, რისიც გამხელა უწინ მეშინოდა. მე ვარ მკვლელი ივანოვისა... ეს კიდევ ცოტაა,—მე ვარ დამნაშავე, რომ ასე უდანაშაულოდ ისჯება მ. იოანნე, რომელიც ჩემი დამნაშაობისათვის დასჯილ იქმნა და კატორგაში იმყოფება. პირველად მე ვიყავი ნაცნობი და მეგობარი მემამულის ივანოვისა. მაგრამ შემდეგში ჩვენში ჩამოვარდა უთანხმოება, რომელმაც მომეტებულად გააბრაზა ჩემი მოუთმენლობა და თავ-მოყვარეობა. ამის შემდეგ მე ვუცქეროდი ივანოვს, როგორც ჩემს მოსისხლე მტერს. ერთხელ მას ძალიან ვაწყენინე, თუმცა მას ამის მიზეზი არ მოუცია ჩემთვის. რომ მე დავსაჯე, ივანოვმა დამიწყო საჩივარი სამზღვრებზე. მე მითხრეს, რომ ამ საჩივრებში მე წავაგებდი ყოველივე ჩემს ქონებას. უწინ მე ვსცხოვრობდი სოფელში, მაგრამ მერე ქალაქში გადმოვესახლე, რომ ივანოვს შევრჩენოდი და საჩივრებისათვის თავი დაენებებია. ქალაქში მოსვლისთანავე მე მივედი ივანოვთან შესარიგებლად, მაგრამ ძალიან გულმოსული კი ველაპარაკებოდი, თუმცა ის ჩემზე უხნესი იყო; მე ვამხილებდი მას; ნაცვლად თხოვნისა, ძალდატანება დავუწყე; ნაცვლად წინანდელი შეურაცხჰყოფისა, მე ხელახლად ვაწყენინე მას. ჩემმა სიტყვებმა მეტად გახელა ივანოვი და ის დამემუქრა საქმის საწარმოებლის გადახდევინებას. ეს მე ძალიან მეწყინა. ჩემს წინ სტოლზე იდვა მჭრელი, როგორც სამართებელი, ბაღის დანა. მე სწრაფად წავავლე მას ხელი და მივარდი ივანოვს, და სანამ ის სიტყვას იტყოდა, მანობამდის გამოვსჭერი ყელი. ამის შემდეგ მე გამოვარდი ოთახიდამ, დანა ხელში გამომყვა, წამოვისხი ქურქი, და უცებ გამოვედი ქუჩაზე. ცივმა ნიავმა ცოტა გამაგრილა და გონებაზე მოვედი. მე მივიხედ-მოვიხედე, ქუჩაზე ბნელოდა და კაცის ფეხის ხმაურობაც არ იყო. არავის არ დავუნახავარ, როცა ივანოვის სახლიდგან გამოვედი. მაგრამ ნუ თუ არავის დავუნახავარ, როცა მე ივანოვის სახლში შევედი? მე გამახსენდა, რომ ივანოვის ეზოში შესვლის დროს მე შემხვდა მღვდელი, რომელიც კარგად მიცნობდა.

— „მას შეუძლია გამცეს“, ვიფიქრე მე. ამ წარმოდგენის დროს ჩემი გული აშფოთდა, და ძალიან შემეშინდა. მკვლელობისათვის დასჯამ, ყოველივე ღირსების ჩამორთმევამ, კატორგაში გაგზავნამ, ცოლის და შვილების მოცილების წარმოდგენამ, ისე გამამწარა, რომ ცივმა ოფლმა დამასხა. რაიმე გზით უნდა მოვახერხო, რომ მღვდელმა არ გამცეს, საჭიროა, დავარწმუნო იგი, და თუ ნებით არა, ძალით მაინც. როცა ამას ვფიქრობდი, მე ვგრძნობდი, რომ ხელში იგივე დანა მეკავა. მე მზად ვიყავი ჩამედინა მეორე დამნაშაობა, ოღონდ პირველი რაიმე გზით დამეფარა. მე მაშინვე გავეშურე მღვდლის სახლისაკენ, რადგან ვგრძნობდი, რომ მღვდელთან მოლაპარაკება საჭირო იყო. მე მაშინვე-

და დასჯა, და ამიტომ მივეჩქარებოდი, რომ მეთხოვნა მღვდლისათვის, დამერწმუნები, იგი და, თუ საჭირო იქმნებოდა, ძალა დამეტანებია კიდეც, რომ მას არ გავეცი მე. შევედი თუ არა მღვდლის სახლის წინა ოთახში, მე მოვიხადე ქურქი და შევედი ზალაში, რომელიც განათებული იყო. მხოლოდ აქ დავათვალიერე ჩემი თავი. ვნახე, რომ ხელში მეკავა იგივე დანა, და ხელები მთლად გასისხლიანებული მქონდა. ეს რა საჭიროა? ვიფიქრე მე. გამოვბრუნდი ხელ-ახლავ შესავალ ოთახში; ხელები შევიწმინდე რაღაზედაც, რომელიც ეკიდა დასაკიდებელზე, ხოლო დანა ჩავდევი რაღაცას ჯიბეში, ვკონებ ჩემს ქურქში. ამის შემდეგ ისევ შევედი ზალაში. ჩემთან გამოვიდა მღვდელი, რომელსაც გაუტყდი ჩემს დამნაშაობას. ამ დროს მე შენანება ფიქრადაც არა მქონდა. ჩემში ნაცვლად სინანულისა იყო გაბრაზებულება. მაგრამ მამა იოანნემ დამამშვიდა და ლოცვების კითხვა დამიწყო. მე გაფანტულად ვისმენდი და მოუთმენლად მოველოდი გათავებას. მე სულ იმაზე ვფიქრობდი, გამამხელდა მღვდელი თუ არა. დაბოლოს მამა იოანნემ მიმიყვანა მე ხატების წინაში და ნება მომცა ლაპარაკისა. მე პირველად მოვსთხოვე მას პასუხი იმ კითხვის შესახებ, რომელიც მე მაწუხებდა, რომ იგი დაფარავს მას, რაც მე ჩავიდინე, თუ გამამჟღავნებს. მან მომიგო, რომ იგი დაფარავს, რადგან მე ველაპარაკები მას როგორც სულიერ მამას და ქრისტეს მოსამსახურეს, და ეს ჩვეულებრივი საუბარი კი არ არის, არამედ საიდუმლო აღსარებაა. მაშინ მე მოუყევი მღვდელს ჩემი დამნაშაობა. მღვდელმა შემდეგი სიტყვებით გამომისტუმრა მე: «შენ გაიგებ, რომ ღვთის სასჯელი უმძიმესია კაცთა სასჯელზე». დიახ! მე ეხლა კარგათ შევიგნე ეს. იმავე საღამოზე მე ქალაქიდამ სოფელში წავედი. იქ გავატარე რამდენიმე თვე მუდამ შიშში; ვფიქრობდი რომ სამსაჯულო მომაგნებს და სასჯელი არ ამცილდება-თქო. და ბოლოს მე გავიგე, რომ ივანოვის მოკვლისათვის დასაჯეს მღვდელი იმ საბუთების ძალით, რომელთა განმარტება ადვილად შეეძლო მღვდელს, რომ ის ასე მაღლა არ მდგარიყო სულით და მტკიცედ არ აღესრულებია ის აღთქმა, რომ ამ დამნაშაობას ის არავის გაუმხელდა. როცა ეს შევიტყე, მე უნდა დავმშვიდებულიყავი: კაცის სასჯელი ამცილდა. მაგრამ მე მაინც ვერ მოვისვენე, რადგან მალე მოველოდი ღვთისაგან განსჯას. ყველაზე უპირველეს მე დამიწყო მხილება ჩემმა სინდისმა.—«შენ გაქვს ღირსება, თავისუფლება და კეთილი ცხოვრება»,—მეუბნებოდა მე ჩემი სინდისი,—მაგრამ ყოველივე ეს ეკუთვნის სხვას. შენ ხარ ქურდი, რომელმაც მოიტაცე სხვისი ბედნიერება და სხვისი პატიოსნება. შენ შეიმოსე სხვისი სამოსლით, ხოლო სხვას კი ჩააცვი შენდამი კუთვნილი პატიმრის ხალათი». ასეთმა ფიქრებმა მეტად შემაწუხა მე. მე ველარ დავუმალე ჩემი დამნაშაობა ჩემს ცოლს და გაუმჟღავნე მას ის საიდუმლო, რომელიც მე მაწუხებდა. მან ხელები მიიფარა პირის სახეზე და მერე მწარედ იწყო ტირილი.—«მე,—სთქვა მან,—«ვფიქრობდი, რომ შენ პატიოსანი იყავი». ცოტა ხნის შემდეგ ცოლი ჭლექით მომიკვდა. თავის უკანასკნელ წამამდის ის მიყურებდა მე სიყვარულითაც და მასთან ზიზღითაც. ასე უცქერის კაცი თავის საყვარელი ნაცნობის უსულო სხეულს, რომელსაც სული უდის. შვილები ზოგი მომიკვდა და იმათაც, რომლებიც ცოცხლები დარჩენ, არ უყვარდი; მე ისინი რაღაცა მერიდებოდენ.

ყმაწვილებს მოფერება უნდოდა, მაგრამ მე მუდამ მოწყენილი ვიყავი და მასთან გულცივი. ბოლოს სულ განცმარტოვდი, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ეს სიმარტოვე იყო დასაწყისი და არა დასასრული, იყო არა დასჯა, არამედ მომზადება დასჯისათვის, რომელიც მე მომელოდა ღვთისგან; ამ განსჯის დროს მხოლოდ მე უნდა მივსცე პასუხი ჩემი დამნაშაობის შესახებ და საოცრად დავისაჯო. წმ. სარწმუნოება ყოველ ცოდვილს აიმედებს, რომ მას მიეტევება ცოდვები და ცხონდება. მაგრამ ცოდვების მიტევება და შეწყალება მოხდება მონანების შემდეგ. მაგრამ მე არ შემიძლია მოვინანო ჩემი დამნაშაობა ღვთის წინაშე, ვიდრემდის მე ვსარგებლობ ჩემი დამნაშაობის ნაყოფით. ივანოვის სიკვდილმა მე უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ მყო, ხოლო უდანაშაულო მღვდელს ჩამოართვა ღირსება და კატორღაში გააგზავნა. ვიდრემდის ეს ყოველივე ასე იქნება, მანობამდე მე არ შემიძლია ვსთხოვო ღმერთს მოტევება. რომ ვსცხონდე, მსგავსად ავაზაკისა, მე უნდა მოვაკლდე იმ თავისუფლებას, რომელიც სხვას მოვსტაცე, უნდა დაუბრუნო პატრონს ჩემგან მოპარული ღირსება. და ამიტომ მე უცხადებ სამსაჯულოს ჩემს დანაშაულობას. ვითხოვ, რომ მე დამსაჯონ და მღვდელი გაანთავისუფლონ კატორღიდგან.

ამ განცხადებისა გამო მივიწყებულს საქმეს ივანოვის მკვლელობის შესახებ ხელახლად მიჰყვეს ხელი გამოსაძიებლად. მღვდელი გაამართლეს, მიანიჭეს მას თავისუფლება, ღირსება და ხარისხი. თეოდოროვი კი, რომელმაც თავად გაამხილა თავის დანაშაულობა, მღვდლის მაგიერ უნდა დასჯილიყო და გაეგზავნათ კატორღაში.

მაგრამ პოლიციის ბოქაულმა, რომელიც გაგზავნილ იქმნა თეოდოროვის დასაჭერად, ისეთ მდგომარეობაში ნახა იგი, რომ მისი წაყვანა არ შეიძლებოდა, რამდენიმე საათის წინ მას დასცემოდა დამლა, მარჯვენა ხელს და ფეხს ველარ ხმარობდა. ენა ჩავარდნოდა, მაგრამ გრძნობა და მეხსიერება კი ჰქონდა.

როცა ავად-მყოფმა თეოდოროვმა მოისმინა თავის დასჯა, მარცხენა ხელით გამოისახა პირჯვარი და რაღაც სიხარულით შეხედა ხატს.

რამდენიმე დღის შემდეგ თეოდოროვი გარდაიცვალა.

მ. იოანნემ დაბრუნების შემდეგ ინახულა თეოდოროვის სასაფლაო. მღვდელმა გაიგო, რომ თეოდოროვი იყო ის, რომელიც უხვად უგზავნიდა მის ოჯახს ფულებს.

ყოველივე ამისათვის მ. იოანნე მუდამ ევედრებოდა ღმერთს, რათა მას მიეტევებია თეოდოროვისათვის მისი ცოდვები.

---

## ახალ მოძღვარს.

წმიდა წმიდათა მოვალეობა
ღვთისგან შენზედა მონიჭებული,
დიდია მენდვე, მე დამიჯერე,
შენ დაარწმუნე მაგ შენი გული.

წმიდა გრძნობებით და საღმრთო ჰანგით
განა ხარ მტკიცედ მომზადებული?
მაშ, იპყარ ხელთა ღვთისა სიტყვები
და მოამზადე სახლი ქებული,

რომ შეაფარო შიგ შენი სამწყსო.
შეერთებული თანაგრძნობითა...
არ იყოს მათში შური-მტერობა,
არ სარგებლობდეს ძმა ძმის მტრობითა.

ღვთისა ხატება, კაცთა მსგავსება
მათი არ იყოს ეშმაკთა სახედ,
მარად დიდებას ღმერთს შესწირვიდნენ,
ძმათ მოყვარებას აქცევდნენ საქმედ.

ვინც არ გისმინოს ეს წმიდა მცნება
შერისხე, სტუქსე, ღლენი აზარე,
ძმათა ერთობა არ შეარყიოს,
მშვიდობა გვქონდეს სახლში და გარე.

იცი ამისთვის შენ რა მოგელის?
ტანჯვა, წვალება, მრავალი ჭირი,
მაგრამ გაუძელ, გამაგრდი ვით კლდე,
შეურყეველი შეიქმენ გმირი...

თუ რომ იხილო, რომ შორდებოდეს
წრეს პირმეტყველი შენი ცხოვარი,
მისი ხსნისათვის თავი შესწირე,
ამას ვალად გდებს შენ მაცხოვარი.

რაჟდენ საჯაოხელი.

## ხარება.

მარიამს შობა ქრისტესი
ძალთა მთავარმაახარა;
ქალწული შეკრთა, განცვიფრდა,
ძირს მორცხვად თავი დახარა.
მერმე უთხრა ანგელოსმან:
უფალმა გამომგზავნაო,
და ზეთის ხილის ყვავილი
მიართვა, მიუტანაო.
გიხაროდენ დედოფალო!
დედა იქმნები ქრისტესი,
რომლის წყალობით მტკიცდება
სჯული, კანონი და წესი.
იშობის შენგან მეუფე
და მაცხოვარი სოფლისა
გიხაროდენ, გიხაროდენ,
დედა იქმნები უფლისა.
ანგელოსი პასუხს ელის,
ქალწული არ სძრავს ენასა,
და ჰფიქრობს: როგორ დარწმუნდეს
ამა ამბისა სმენასა.
ერწმუნოს? შიშობს, ევასებრ
არ ჩავარდეს რამ ცთომასა
და არ რწმენითაც მასვე გრძნობს,
რომ განარისხებს ზენასა.
ბოლოს უთხრა: ვითარ იქმნეს
უმამაკაცოდ შობაო,
მე ქალწული ვარ იმ დღიდგან,
როცა მშობელმა მშობაო.
ანგელოსმან მოწიწებით
ააშვირა თითი მაღლა,
ანიშნა ზეცის განგება
და ნაზათ ხმას აუმაღლა:
დედოფალო! სული წმიდა
გარდამოვა შენ ზედაო...
ამისთვისცა ყრმა, შობილი,
იწოდება ღვთის ძედაო...
ესე სთქვა და ანგელოსი
მოშორდა და მსწრაფლ წარვიდა
და ქალწულსა ამის შემდეგ
ძალი მაღლისა ჰფარვიდა.

რაჟდენ სუჯაოხელი.

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება *).

### შიო.

1804 წ. ასურთა ათ ორთა მამათა შორის მზეებრ საჩინოო, საკვირველო საკვირველებათაო, მრავალთა მოქმედო. ზენათა საქართველოთა განმანათლებელო, და ქვეშე ღვთიმით ვარსკლავთა. უბრწყინვალესო მნათობო, ღირსო შიო, მამათა მამაო ვყავ ესე განზრახვად შენდა სახელითა შენითა უდაბნოსა შინა შეკრებულთა წმინდათა მამათა და ძმათათვის მე მონამან და მსასოებელმან შენმან ბუქყიაშვილმან იოანემ. და მეუღლემან ჩემმან დავით გაბაშვილის ასულმან ნინომ შემოგწირეთ ათი თუმანი თეთრი. რათა წლითი წლად სარგებლობდეს თუმანი თვეში ორ შაურად. ვინაიდგან უმეტეს განვახშება არა ჯერ იყო ათის თუმნისა მის სარგებელი იქნების ხუთი აბაზიცა ოთხად განიყოს, რომლისა მეოთხედი იქმნების ხუთი შაური ხუთშაბათსა დღეს ვინც მწირველი იყოს, რომელიც არის ზემო ეკკლესია დიდი მღვთის მშობლის მიცვალებისა იქ იწირვიდეს და იმას მიერთმეოდეს ერთი შაური სანთლის საკმლის ფასად და ერთი აბაზი საწირავად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და სოფელსა ამასა შინა კეთილად წასამართებელად. მეუღლისა და შვილთა ჩემთა კეთილად დასაცველად სწირვიდეს მას ხუთშაბათს მწირველი და ეგრეთვე მეორესა, მესამესა და მეოთხესა ვინიაკესა. ხოლო თეთრი იგი ათი თუმანი ნურცა წარეგების სხვად რადმე რათა არა განწყდეს წირვაცა ჩემთვის თეთრი ესე მიმირთმევიეს მონასტრის შინისა წინამძღვრისა და მართებელისა ყოვლად ღირსისა მამისა არქიმანდრიტისა და მუნმყოფთა მღვდელ მონაზონთათვის, რათა მისცენ ვექილსა ერთსა და თთვე და თთვე [1]) მიიღებდნენ სარგებელსა და ვედრებასა მას ჩემსა აღასრულებდნენ უკეთუ რომელმანმე ვერაგობამა კერძო ან მუნით ანუ ჩემ კერძო მოშალოს შეწირულება ესე და წირვა ჩემ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 4.

[1]) ეს გუჯარი დ. ფურცელაძისაგან [illegible] დ. გუჯარში სწერია «თვკ».

თვით იგიმცა შეიშლების სახისა თვითისაგან და ნობოხოდონოსორის და თეოდატის მსგავსად დაისჯების 2). ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყავ მადლითა შენითა დაიწერა ხელითა მდივნის მაღალაძის იოსებისათა, თუ ვინიცის ქამთა ვითარებისაგან, რომელიც შეწირულების სიგელი დამიდვია და წმინდის შიო მღვიმის მონასტრისათვის სიგელი მიმირთმევია თუ ის დაიკარგოს ქამთა ცვლილებისაგან ამ წერილმა უნდა იპოვნოს და ჩვეულებისაებრ წირვა და ლოცვა უნდა განაახლონ იანვრის ია წელსა ჩუჱ ქორონიკონს უჱბ

ბეჭედი. მოურავი იოანე.

---

## ნეკრესისა.

### ქრისტე აღსდგა.

### ტოსითილს.

1785 წ. ჩათს მაღალს ყოვლად სამღუდელოებას ნეკრესელს ჩემს მოწყალეს მამას უფალს და მეუფეს.

ტრიფილე წინამძღვარი დიდის სასოებით და მდაბლად თაყვანის-ცემით ჩემს მწყალობელს წმიდას მარჯვენეს ვემთხვევი და მათს უვნებელს მშვიდობით და სიმრთელით გებას ვითხოვ ღვთისაგან წიგნი მოგეწერათ და ბარტყულა გებოძათ რომლისაც მეტანიით მადლობა მიირთუი ჩემგან მეუფეო წმიდაო და რომელიც საყვედურები მოგეწერათ ისინი თვითეულ აღმომკითხუწელთა გულის ხმა ვჰყავთ რომლისა პასუხნი ესრეთ მოგხსენდესთ: ყოვლად სამღუდელო მეუფეო მე მწიგნობართ უხუცესობით არას დროს არავისთვის მიმიწერია წიგნი და არცა ვარ მწიგნობარწინამძღუარს ვიწერები და ვარცა მადლითა თქვენითა. ფაშაანისა რომ მოგეწერათ იმის პასუხი მცხეთელებმა ასე მოგახსენესთ: თუ სვეტს ცხოველს მძლავრობით და უსამართლობით სხვანი არ ართმევდენ მამულს და ყმას სვეტი ცხოველი არავის რას ართმევსო დია დიდის ხნით განწესება არის კახეთისა და მეფეთაგან ძუელადვე გუჯარებით დამტკიცებული რომ რომელიც სოფელი საკუთარი ყმა და მამული არის კახეთში სვეტის ცხოვლისა სამწყსოც სვეტის ცხოვლისა არის ასე რომ სხვა ეპისკოპოსი ვერ შეეცილება ფაშაანი მიწა და წყალი და იქ მსახლობელნი კაცნი საკუთარნი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისა თუ არა ეს გვიბრძანეთო თუ საკუთარნი არიან მაშ სამწყსოც სვეტის ცხოვლისა არის: თუ ამას ბრძანებთ, ალაზანს გაღმა რადგან არის ნეკრესლის სამწყსოაო. ვერის ხევი სადღა არის, ვგონებთ რომ ალაზანს გაღმაა, უფრო ფაშაანს ზეით არის, და შილდის მახლობელიც არის, და საკუთარნი ყმანი და სამწყსონი არიან სვეტის ცხოვლისა მართალია რომელნიც საზიარონი არიან მეფისა და კათოლიკოზისა, ვითა საგარეჯო, ხოდაშენი, კალაური, გურჯაანი ესენი საზიარონი არიან და ძმისთვის სხვისი სამწყ ონი არიან, ესე იგი ნინო წმიდელისა და რომელნიც საკუთარნი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისანი სამწყსონიც სვეტის ცხოვლისანი არიან ესე იგი იმითი ახაშენი ვეძის ხევი და ეს ფაშაანი ამასაც მოგახსენებენ ჩვენ ბატონმა ნეკრესელმა დაგვინიშნოს და ხელი დაგვიდუას რომ ჯიმითი და ახაშენი და ვეძის ხევი რომ საკუთარნი ყმანი არიან სვეტის ცხოვლისა. ვისი სამწყსონი არიან ან ამათი ეპისკოპოზი ვინ არის. არხიმანდრიტმა სტეფანემ თქვენს ყოვლად სამღუდელოებას მდაბლად თაყვანის ცემა და ხელს მთხვევნა მოგახსენა მოკითხვის მადლობა მოგახსენა და ქრისტეს აღდგომის დღესასწაული მოგილოცათ დია შეუძლოთ იყო წიგნის პასუხი კი ვერ მოგწერათ ეს მეოთხე თვეა რომ სულ ავად და შეუძლოდ იმყოფება.

თუ ესენი საკუთარნი ყმანი და სამწყსონი არიან სვეტის ცხოვლისა მაშ ფაშაანიც რადგან საკუთარი ყმა და მამულია სვეტის ცხოვლისა სამწყსოც სვეტის ცხოვლისა არისო. აქ ჩამოსვლა გიბრძანებიათ ჩამობრძანდით იმისი უწმიდესობაც აქ ბრძანდება, და ჩვენც აქ გახლავართ გეპრიანებათ გუჯრით გველაპარაკეთ გუჯარი გექმნებათ, გეპრიანებათ სიტყვით ორისავ ყაბული გვაქვსო:

იორდანეს შვილის ქვრივისა დედაკაცისა ასე მოიხსენეთ ჩემგან წინაშე ღვთისა სწორე და ჭეშმარიტი.

იმის სიმაღლეს ციციშვილი მანუჩარ და ამერეჯიბის შვილი გამოუგზავნა იმის უწმიდესობასთან და დედაკაციც თან გამოეტანებინა და ებრძანა. მე

2) შეადარე «ქართლის ცხოვრების» მოთხრობა საქანჩუდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეიცი ნეკრესელი ამას მწამობს რომ მითომ მე ამ დედაკაცს უდგელ. რომელიც განაჩენი აქუს მდივან-ბეგებისაგან მიცემული და ჩემგან დამტკიცებული. მე ის წიგნი ამილიაო. ეპისკოპოსნი შეჰყარეთ და მდივან ბეგებიც თან დაისწარით და როგორც თქვენ უსჯით წინაშე ღვთისა, და სამართალს უზამთ მეც იმ სამართლის თანახმა ვიქმნებიო. იმ ორთავე კაცთ შეჰყარეს ეპისკოპოზნი და მდივან ბეგებიც მოიყუანეს და ის დედაკაციც წარმოაყენეს და ალაპარაკეს. თითონ მდივან ბეგებმა წიგნები დაუ ინჯეს და სასმენელად ყოველთა წარიკითხეს და ასე ბრძანეს რომ ამ წიგნების მოშლა და დარღუევა არა თუ ჩვენგან, ქვეყანაზედ შემცოდეს კაცისაგანაც არ შეიძლებაო. თქვენმა მადლმა რომ განაჩენის პირიც თითონ მდივან ბეგებმა გამიკეთეს და დამაწერინეს:

თქვენის ყოვლად სამღუდელოებისაგან მე ამას ვითხოვ რომ თქვენის მამობრივის მოწყალებისა და სიყვარულისაგან დაუგდებელი ვიყო, და თქვენის მშვიდობის ამბავ მიბძანებდეთ. აპრილის 29 წელსა ჩღპე 1785 მეუფეო წმიდაო თქვენის ყოვლად სამღუდელოებისაგან რა საკადრისი იყო ასე უწყალოდ მხილება შერისხვა და განკითხვა დიკასტირიასა და დიკასტირის მსაჯულებისა ასე უსამართლოდ და დაუნაშავებლად ჯერ სწო ეს შევიტყობდი და თუ ბრალეულად აღმოჩნდებოდნენ ან მიზეზნი შეიქმნებოდნენ რისამე, მაშინ რაც მხილება და ყვედრება და განკიცხვა გებრძანათ ყოვლისავე თანა მდებ იქმნებოდენ, და თუ არა და რა მართებული იყო ასე მხილება და შერისხვა.

ქ. ფაშაანისა რომ კათოლიკოზისა თქვენი მონა წინამძღუარი ყმაც არისო და სამწყსოცაო. [1])

ბეჭედი («ტრიფ ლე»)

ესეც მოგახსენესთ მცხეთელებმა, მოიკითხეთო შიგნით და გარეთ კახეთში, გაღმა და გამოღმა მჭარში ერწოსა საგურამოსა და სხუაგანა, თუ სადაც საკუთარი სოფელი არის კათოლიკოსისა, სამწყსოც კათოლიკოსისა არ იყოს, თითონ ერწოელნი დღეს ხქეტას სახლობენ საკუთარნი კათოლიკოზის ყმანი და სამწყსრნიც კათოლიკოსისანი არიან ეგ ფაშაანი ჩვენ ხომ არ შეგვიწირავს დია დიდის ხნით ძველათგანვე სახასოთ დადებული და შეწირული მამულია მეფე თანც და გუჯარებით დამტკიცებული, თუმც მემკვიდრენი ამოსწყდნენ და გაუქმდნენ. მაგრა ხიზანი მიგვიყვანია სვეტის ცხოვლის მკვთარი ყმები დაგვისახლებია და სამწყსოც სვეტის ცხოვლისა არის მანამ აქ ჩამობრძანდებოდეთ, ჩვენგან ასე მოიხსენეთ.

[1]) დოსითეოს ნეკრესელი რამდენჯერმე იხსენება გუჯრებში. ეს გუჯარი აქვს დაბეჭდილი დ. ფურცელაძეს, საინტერესო კითხვას შეეხება და ამიტომ ფრიად საინტერესოა იგი.

---

## ნ ე კ რ ე ს ი ს ა.

1788 წ. საქართველოს პატრიახი მეფის ირაკლი მეორის ძე ანტონი მოგიწერ ყოვლად სამღვდელოვ ნეკრესელ ეპისკოპოსო დოსითეოს: მე დიდად მიკვირს შენის მეცნიერებისაგან, რომ საქართველოს მამათ მთავარს სამწყსოს შემოსცილებიხარ, და ჩვენის ყმისა და სამწყსოს ვეძის ხეველის ასაბა შვილის დიაკონის დავითის თავის მღვდელად ხელი დაგისხამს, როკორ მოგსვლია, რა მიზეზია, ან ვისის ბრძანებით გიქნია უნდა მომწეროო დაქვრივებული იყო, და მწყემსი აღარ უჯდა, იმისის უწმინდესობისაგან განწესებული და იმის სიმაღლისაგან დამტკიცებული დიკასტირია ხომ იყო, და ესენი განაგებდენ სამღვდელოსა და სულიერს საქმეებსა, რატომ ამათ არ დაეკითხე, და ამათის წიგნით არ აკურთხე, და თუ ამ ჩემს კათოლიკოსობაში იყო, ჩემს უკითხავად როგორ გაჰბედე ჩემის სამწყსოს მიტაცება, ორგზითვე დიდი უკადრისი საქმე გიქნია, და წინააღმდგომი წმიდათ მამათ კანნისთ თუ შენი სამწყსო იყო, ნეტარა ხსენებულმა ბიძა ჩვენმა იმის უწმიდესობამ დიაკონად ხელი რათ დაასხა, და თუ შენი სამწყსო არ იყო, ვინა ხარ, ან რა კადნიერება გაქვს შენ ჩემს სამწყსოზედ, რომ ჩემს კათოლიკოსობაში სამწყსოს შემომეცილე, და ჩემს დიაკონს ჩემს უკითხავად მღვდელად ხელი დაასხი: მე ასეთს ქვეყანაში ვარ ნამყოფი, რომ იქ შენისთანაებისაგან ამგვარს კადნიერებას ვერ ეწყობიან, და ვერც დასთმობენ. და ვერც მე დავსთმობ ვერც შენგან, და ვერც სხვათაგან. და არც ჩემს დროში ა ისთანას ურიგობას ვისმე ვაქნევინებ: მე კარგი პასუხი მაქვს

შენთვის მოსაწერი ამის თვის მაგრა ამ დროებაში დია მოუცლელად ვარ, და ჩემაგიერ პასუხის მომცემად კმა არს შენდა, კანონი წმიდათა მოციქულთა, ჳ; ანტიოქისა, ჲკ. და ეფესოისა ლ. და იქიდამ ჰსცნობ ყოველსავე მე არა რა პასუხი გცე ამის მეტი; მე ეგ მღვდელი დავით კანონისაებრ ამათასა მღვდელობიდამ განმიკვეთია. ახლავე გამოუცხადე, რომ ნუღარა სწირავს, და ნუღარცარას იმღვდელმოქმედებს, ვითა ცხვარი განჭრილი სამწყსოსაგან თვისისა და სხვისაგან მიმღები ხელის დასხმისა, ახლავ შეატყობინე რასაც წამს ეს ჩემი წიგნი მოგივიდეს, დაყოვნება არ უნდა ამგვარს მამათ კანონის წინააღმდგომს საქმესა: დეკემბრის იზ. წელსა ჩღპც.

**კათოლიკოზ ანტონ.** [1]

---

**ბოდბისა.** [2]

**1777.** ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს კახეთის იჯარადარს კურდღელაშვილს დავითს. ბოდბეში სამღებრო ხომ შეწირულია და იმასთან ხელი არა მაქვს და რომელიც სომეხი საბოდბლოში ვაქობენ, ბოდბელი იმათ ბაჟს არ მაძლევს. ჩემო ხელმწიფევ შფოთის მოჩდილ კაცი გახლავარ ბოდბელიც აქ გახლავსთ და მთელი ქიზიყიცა მოიკითხეთ და ეს ჩვენი საქმე გაარიგეთ ღმერთი გაგიმარჯვებს რომე კახეთის იჯარადრის კურდღელაშვილსა. ეპისკოპოზის წყევლი, დიდ მეშინიან ივნისსს იბ (12) ქორონიკონს უჲ). (ბეჭედი. ერეკლე!) **465+1312=1777** მოწერილი აქვს: მღვდელოვ უფალო ბოდბელო დავით. მისივე წმიდესობა ჩვენი ძმა პატრიარხიც აქ ბძანდება გაღმობძანდით და ეს საქმე და სამართალი გარიგდეს.

---

[1] დ. ფურცელაძეს შეცდომით აქვს მოწერილი ეს გუჯარი 1785 წ. (იხ. Церк. Гудж. 43)

[2] ნახე წინა გუჯარი ამავე კითხვაზედ. დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

რაჭის მაზრის სოფლის სამთისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის კონსტანტინე ქიქინაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ თქვენი გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა შევსწიროთ როგორც მე ისე ჩემდამი რწმუნებულმა მრევლმა იმ პირთ, რომელთაც ზემოდ აღნიშნულს შტატის და ზედ მიწერილს ეკკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები და მასთან უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ გაზეთშივე ამ შემწირველ პირთა სია, რომელსაც ამასთანავე ვგზავნი.

**აზნაურმა კონსტანტინე ჩაკვაიძემ შემოსწირა ზედმიწერილს მიმინების ეკკლესიას ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი თავის მოწყობილობით, ღირებული 100 მანეთად; გლეხმა არჩილ თ. კახეთელიძემ შტატის ეკკლესიას შემოსწირა ორი ბაირაღი, ღირებული 30 მან.; გრიგოლ ჰ. მესხიძემ — 3 საეკკლესიო წიგნები და სახელდობ: 1 კურთხევანი და 2. ლოცვანი, ღირებულნი 6 მან.; ვლადიმირ ი. კობახიძემ — 2 საწიგნე, 1 სტოლი, ღირებულნი 30 მ.; როსტომ ნ. კახეთელიძემ — სპილენძის ქმბაზი, ღირებული 11 მანეთად.**

* *
*

«კავკასიაში მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგინებელ საზოგადოებას, როგორც სჩანს ამ საზოგადოების 1889 წლის ანგარიშიდამ, შემოსვლია სხვა და სხვა წყაროდგან 1889 წელში 118,342 მ. ამავე წელში გასავალი ჰქონებია საზოგადოებას 118,342 მ. ხარჯს გარდა საზოგადოების კასაში 1 იანვარს 1890 წელსა დარჩენილა ნაღდი ფული 24,539 მ. 63¾ კ.

ამ საზოგადოებას ამ საანგარიშო წელში რუსეთის იმპერიის ეკკლესიებიდგან შემოსვლია ყულაბებით შეკრებილი ფული კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღდგინებისათვის 20,132 მან. 77¼ კაპ.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაენათის მონასტრის გალავანში ამა თთვის 19 ს, ცეცხლი წაეკიდა თივას, რომელიც ინახებოდა დავით აღმაშენებლის ნიშის გვერდზე მიდგმულ ერთი პატარა შენობის ჩარდახში, რომლის სახურავი უერთდება ამ ზემოხსენებული ნიშის სახურავს. ცეცხლისაგან დაზარალებულა ამ შენობის სახურავის გადასაკიდებელი ხეები. ცეცხლი თავისით გამქრალა თივის დაწვის შემდეგ, რადგან მთელი შენობა ქვითკირისაა.

ტყუილია გაზეთებისაგან გაზვიადებული ხმები, ვითომ დავით აღმაშენებლის ნიშს რაიმე მოწეოდეს. მასში არც კედლებს, არც კედლის მხატვრობას, რომელიც სრულებით არასოდეს არ ყოფილა და არც დერბენტის რკინის კარებს არასფერი ვნება არ მისცემია. ვისაც ეს ნიში უნახავს, ის დარწმუნდება, რომ მასში ცეცხლის მოსაკიდებელი არა არის რა.

* * *

ტყუილია გაზეთს «Нов. Обоз.»-ში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ მეზუკე გარდაცვლილიყოს. მეზუკე ჯერ ცოცხალია და არც ჰფიქრობს სიკვდილს, რადგან ზოგიერთ პირებთან ანგარიში ჰქონებია გასასწორებელი...

* * *

წმ. ანნის მესამე ხარისხის ორდენით უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნა იმერეთის ეპარქიის ქუთაისის საპატიმროს იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის ბლაღოჩინი მღვდელი ოქროპირ კაჭახიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში თორმეტი წლის წევრის თანამდებობაზე სამსახურისათვის.

* * *

1890 წლიდგან დაენიშნათ 35 წლის სამსახურისათვის პენსია ას-ოცდა ათი მანეთი ქყვილის ღვთის-მშობლის შტატგარეშე მღვდელს დავით ბახტაძეს; ჩარუქის სამრევლოის შტატგარეშე მღვდელს თადეოზ გაბიჩვაძეს; კულაშის მელიურის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის შტატგარეშე მღვდელს — იოანნე კანდელაკს, გეთსამანიის სამრევლოის მღვდლის დავით ციცქიშვილის მეუღლეს ქეთევანს დაენიშნა 65 მ. ობჩინის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის დიმიტრი ჩარკვიანის ქვრივს ანნას — 65 მ; წირქვალის სამრევლოის მღვდლის პავლე ქველაძის ქვრივს სალომეს 65 მანეთი.

* * *

**დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოხებლად** ჩვენ მივიღეთ ქუთაისის მთავარ-ანგელოზის საკრებულო ტაძრის წინამძღვრის პატივცემული დეკანოზის გიგაუროვისაგან 14 მ. და 59 კ.

* * *

**სოფელ ზეგნიდამ გვწერენ:**

„სულიერმა მწყემსმა თუ მოინდომა, ბევრი რამ კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია თავის სამრევლოში. ჩვენს სოფელში ამ სამის წლის წინად არ არსებობდა სამრევლო სკოლა, სადაც ყმაწვილებს შეეძლოთ წერა-კითხვის შესწავლა. 1888 წელში ჩვენი სულიერი მწყემსის მ. ი. გორგოძის მეცადინეობით და მრევლის დახმარებით აღშენდა საძოვლო სკოლისათვის ორ-სართულიანი სახლი ქვედა ზეგანის ეკკლესიაზედ. იმ დღიდგან ამ სკოლაში სწავლა არის და მოწაფეებიც ყოველთვის ბლომად დაიარებიან. ესევე სულიერი მამა დიდი ხანია ცდილობდა, რომ ამ გვარივე სკოლა გაეხსნა ზემო ზეგანის ეკკლესიაზე და ამ თვეებში კიდეც შეუდგა მრევლის დახმარებით სკოლისათვის სამ-თვალიანი სახლის შენებას. რადგან ზემო ზეგანის სამრევლო ეკკლესია ძალიან დაძველებულია, მ. გორგოძე სცდილობს, რომ ეს ეკკლესია მთლად გადააკეთოს. ამისათვის ის მიიქცა ადგილობით ბლაღოჩინისადმი თხოვნით, რომ ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ამ ეკკლესიისათვის უფასოდ მისცეს ძელები ხის მაღალი ბაღდათის სახელმწიფო ტყეებიდგან. ამავე სულიერი მწყემსის შთაგონებით ზედა ზეგანის ეკკლესიას შესწირეს სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები შემდეგმა პირებმა: მეორე გილდიის ვაჭარმა ძმებმა გორგოძემ ორი ბაირახი და 1 ბოხი, ტოპაზის წით დასამშვენი, ღირებულნი 47 მ.; თეკლა მათიკაშვილის ქალმა — ერთი დიდი საბარება, ვერცხლით მოჭედილი და ერთი ებაბი, ღირ. 53 მ.; გარდაცვალებულის თავდათი კვირიკაშვილის მეუღლემ მარია მჭედლიძის ასულმა — კანდელი, ღირ. 40 მ.; ივანე გორგოძემ — 2 დიდი შანდალი და 1 პატარა სპილენძის თუნგი ღ—ნი 42 მ.; მიხეილ დოგრაშვილის მეუღლემ ოლღა მიხაძის ასულმა — ერთი დიდი ჯვარი, ტრაპეზზედ დასადები, ღირ. 16 მ.; მარკოზ დოგრაშვილის მეუღლემ სოფიომ — 2 დიდი ხატი მაცხოვრისა და ღვთის-მშობლისა, ღირ. 10 მ.; ტრიფონ გ. დოგრაშვილმა და მურმანყან დაპარიშვილმა — სტოლი და კაცეთი, ღირ. 10 მ.; ბესო დოგრაშვილის მეუღლემ ნინომ — ტრაპეზზედ დასადგმელი საწინდე და 1 საცეცხლური, ღირ. 23 მ.; დიმიტრი დოგრაშვილის მეუღლემ გვირგვინები, ღირ. 4 მ.; ბერიკ დოგრაშვილის მეუღლემ მარიამ და ტარიელ დოგრაშვილის მეუღლემ — ერთი ტატუკი თავის თევშით, ღირ. 5 მ.; ამბაკო დოგრაშვილმა მაცხოვრის ხატი, ღირებული 2 მანეთად.

როგორც ეს შემწირველნი პირნი, ისე სულიერი მამა ი. გორგოძე მადლობის ღირსნი არიან ამ კეთილი და ღვთის სასიამოვნო საქმისათვის».

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

## სიტყვა,

თქმული ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან 8 სექტემბერს გელათის სობოროში.

რა მივაგო უფალსა ყოვლისათვის, რომელი მომაგო მე მან. (ფსალ. 115)

უნებლიედ მომივიდა მე გულში, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, ეს სიტყვა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისა. იგი იყო უბრალო დაბალი კაცის შვილი, სიყმაწვილეში მწყსიდა ცხოვართა მამისა მისისათა; გარნა ღმერთმან იგი აღამაღლა და დააჯდინა სამეუფოსა ტახტსა ზედა. მეც მმართებს დღეს განვიმეორო სიღრმისაგან გულისა ზემო მოყვანილი სიტყვები! მეც ვიყავი ერთი უბრალო მდაბალი კაცის შვილი და მეც აღმიყვანა დიდსა ამას და საპატიო ხარისხსაზედა ღმერთმან. დავით—წინასწარმეტყველი ღირსი იყო ამაღლებისა; მე კი ვარ ერთი უღირსი და ცოდვილი კაცი, როგორ დავიჯერებდი მე 25-ის წლის წინედ, როდესაც მე უღირსმა პირველი საღმრთო ლიტურღია გადვიხადე ამ ეკკლესიაში, როგორ მოვიფიქრებდი, რომ დღესაც შემდგომად 25-ის წლისა ვეღირსებოდი ამ დიდებულ ტაძარში წირვასა! რა მივაგო უფალსა ყოვლისათვის, რომელი მომაგო მე? «სასმელი ცხოვრებისა მივიღო და სახელსა სახლსა უფლისასა ვხადო». ესრეთ განაგრძობს დავით წინასწარმეტყველი სიტყვათა მისთა. სასმელი ცხოვრებისა ე. ი. საღმრთო ზიარება მეც უღირსმა მივიღე დღეს წმიდასა საკურთხეველსა ამასა შინა. მაგრამ ესეც ხომ ღვთის მოწყალება და კეთილის ყოფა იყო. და ამისათვინაც რა უნდა მივაგო ღმერთსა? «ლოცვანი ჩემნი მივსცნე უფალსა წინაშე ყოვლისა ერისა მისისა», კ..დევ გაა..ძელებს დავით წინასწარმეტყველი ზემო მოყვანილთა სიტყვათა, ე. ი. ღვთის მოწყალებისათვის და კეთილის ყოფისათვის კაცმან უნდა შეწიროს ღმერთს ლოცვა, მადლობა, დიდება წინაშე ყოვლისა ერისა მისისა და აჰა ე ერა აწვე ვაღსრულებ მე ამას, აღვიარებ ახლავე წინაშე ყოვლისა ერისა, აქა შეკრებულისა, აღვიარებ ხმა მაღალთა ლოცვით, რომ მან მომაგო მე ურიცხვი მოწყალება და მსურს ყოვლითა გულითა, რომ გადუხადო მას, მაგრამ არ ვიცი რითა და ვევედრები მანვე მასწავლოს, შემაგონოს და მომცეს ღონე, რომ ვემსახურო მას, აღვასრულო მისი ნება.

გარნა ვგონებ, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, ერთნაირად და ერთ ზომით ის იქმნება მადლობის გადახდა ღვთის წინაშე ჩემგან, თუ ვეცდები თქვენს სულიერს სწავლას და დარიგებას, თუ შეწევნითა ღვთისათა გავამაგრებ თქვენ სულში ღვთის სიყვარულს და მისი სჯულის ერთგულებას. ამისთვის ახლავე შეუდგები ამ საღმრთო საქმეს და წინა დაგიდებ დღეს თქვენ მცირეს სწავლას ორ საჭირო საგანზე.

ვევედრები ღმერთსა, არა უსარგებლოდ დარჩეს თქვენთვის ეს ჩემი უნდო სიტყვა.

პირველსა ზედა საგანისა დღევანდელისა ჩემი თქვენდამი სიტყვ-სა უწინაც იყო თქვენ წინაშე უბნობა, მაგრამ ის ეგოდენ საჭირო და დიდი, რომ ახლაც მსურს იმაზე გითხრა სიტყვა, მით უმეტესად, რომელ იმ საგანზე დიდი ხანი არ არის იყო საკუთარი განკარგულება ვითარცა უმაღლესის სასულიერო და საერო მთავრობისაგან. რომელია ეს საგანი? სწავლა-განათლება სულიერი. ცოდნა საღმრთო სჯულისა; ორთავე მთავრობათა სახოსციელო და სასულიეროს სურსთ და მოითხოვენ ჩვენგან, რომ ყოველმა ქრისტიანე კაცმა ვითარცა მაღალი წოდებისამ ეგრეთვე მდაბალისამ შეისწავლონ, იცნონ მათი სჯული, სიყრმითგანვე მიეჩვიონ ეკკლესიას, ესმოდესთ ჰაზრი მნიშვნელობა ყოვლისა, რაც ეკკლესიაში სრულდება, მიეჩვიონ წირვა-ლოცვის მოსმენას, მიიღონ მონაწილეობა წირვა ლოცვაში; ერთი სიტყვით რაოდენიც შესაძლებელია, შეიქნენ ნამდვილნი ქრისტიანენი, და არა სახელით მარტო. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თვითონ გრძნობთ, რამდენად საჭიროა და სასარგებლო თქვენი შვილებისათვის ამისთანა სწავლა. დრო არის გავიღვიძოთ, ძმანო ქრისტიანენო. დრო არის გამოვიდეთ ბნელისაგან და შევიდეთ სინათლეში. დიდი უმეცრება სუფევს სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში შესახებ საღმრთო სჯულის სწავლისა და დიდი ვნება შეუძლია ამ უმეცრებას და დიდ ზარალს გაძლევს თქვენ. რაოდენი ამაო ჰაზრი და რწმუნება სუფევს სოფლებში, რომელიც სულიერად და ნივთიერადაც ზარალში ჩაგაგდებენ თქვენ. ყოველ ეკკლესიასთან უნდა იყოს პატარა მაინც სასწავლებელი, რომელშიაც თქვენი შვილები უნდა სწავლობდენ ლოცვებს, პირჯვრის წერას, წერა-კითხვას, ეკკლესიაში სიარულს და ამ სახით ემზადებოდენ, რომ მათი სიცოცხლე ქრისტიანულად გაატარონ.

ახლა გადავიდეთ მეორე საგანზე. იმაზედაც საჭიროა თქვენთან მოლაპარაკება, რადგანაც უცოდინარობისა გამო იმ საგნის მნიშვნელობისა მრავალ ცოდვაში ვარდებიან მლოცველები. არის ერთი ძველი საეკკლესიო ჩვეულება, რომელიც აქამომდე წმიდად და ჯეროვნად სრულდებოდა და ახლა კი გაფარშივდა და გაფუჭდა დასალუპავი სიხარბისა და ანგარებისა გამო ზოგიერთთა მოვაჭრეთა, ეს არის საეკკლესიო სანთლის კეთება და ანთება წინაშე ხატთა, რადგანაც მორწმუნე კაცის გულს აქვს ყოველთვის გულში დიდი სურვილი მიართვას ღმერთს შესაწირავი თავის ნაყოფისაგან და მით გამოიჩინოს სიყვარული და ერთგულება, ამისთვის წმიდათა მამათა, სულის წმიდისაგან განათლებულთა, დააწესეს შეწირვა ღვთისადმი წმინდა სანთლისა. ეს წმინდა სანთელი კეთდება ისეთი მასალისაგან, რომელიც არის უმშვენიერესი ყოველთა ღვთის ქმნილებათა შორის ე. ი. სხვა და სხვა მშვენიერ ყვავილებთაგან. ფუტკარი, რომელიც აკეთებს თაფლს, სულიერი არის ყოველთა ცხოველთა შორის უფრო წმინდა და სუფთა და ნაზი, ის არაოდეს არ მიეკარება არასფერს მყრალს და უწმინდურს, არამედ დაჯდება მხოლოდ უმშვენიერეს და კეთილ სურნელოვანს ყვავილებზე და იქიდგან ამოკრეფს მშვენიერს მასალას და აკეთებს თაფლს, რომელიც არის უტკბილესი ყოველთა სანოვაგეთა. ხოლო თაფლიდგან წარმოსდგება წმ. სანთელი.

აი რა მშვენიერი მასალიდგან და ცხოველიდგან კეთდება წმინდა სანთელი და ამისთანა წმინდა და მშვენიერ მასალიდგან შემდგარს სანთელს ძღვნად მიართმევთ ღმერთს. როდესაც შენ სანთელს აანთებ წინაშე ხატისა, იმას დიდი საიდუმლო მნიშვნელობა აქვს. ანთებული სანთელით შენ გამოსთქვამ წინაშე ღვთისა, იმ მშვენიერსა აზრსა, რომ შენი გულიც ისე ანთებულია ღვთის ერთგულებით და სიყვარულითა და კიდეც ევედრები ღმერთსა, რომ შენი გულიც ისე გაათბოს და გაანათოს მისითა მადლითა. ახლა წარმოიდგინე შენა, რას ჩადიან მრავალნი მოკლებულნი სინიდისსა ვაჭარნი, ურიანი და მათნი მსგავსნი ქრისტიანენიცა? ნაცვლად თაფლის სანთლისა მოგყიდიან შენ უწმინდური მყრალი მასალისაგან გაკეთებულს სანთელს. რომ შეხედავ, თეთრი არის და ვერ გაარჩევ თაფლის სანთლისაგან, მაგრამ რომ აანთებ, მყრალი კვამლი ამოდის მისგან, იაფი არისო და შენ მისთვის ყიდულობ და მიართმევ ღმერთს ყალბ—ცუდს ძღვენს, კვამლი იქიდგან ამოსული აფუჭებს ხატებს, ჰაერს, კედლებს, შესამოსლებს. ნაცვლად მადლისა ჩავარდები ცოდვაში.

ნუ იქმნებით, ძმანო, რეგვენნი საღმრთო სამსახურში, ყოველი ღვთის პატივის-ცემა აღასრულე გულითა წრფელითა, წმინდითა, და არა ბრუნდეთ. ამინ.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

ბლაღოჩინის მ. ნ. ფრუიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«ჩემი საბლაღოჩინოის ორი მღვდელი სახლობს მეორე საბლაღოჩინოშიდ; ეს მღვდლები თავიანთი ცოლ-შვილით იწერებიან ჩემდამო რწმუნებული ეკკლესიების საბუთებში. იმ სოფელში, სადაც ეს მღვდლები სცხოვრებენ, არის მღვდლად ბლაღოჩინი მეორე საბლაღოჩინო მაზრისა, რომელ მაზრასაც ეკუთვნის ეს სოფელი. ამ ხსენებული ბლაღოჩინის ეკკლესიაზე მხოლოდ წირვა-ლოცვის მოსასმენად დაიარებიან ჩემი საბლაღოჩინოის ზემოდ მოხსენებული იმ ორი მღვდლის ცოლ-შვილი. ეხლა გთხოვთ განმარტოთ შემდეგი კითხვა:

ამ ჩემი საბლაღოჩინო მაზრის ორი მღვდლის შვილების ჯვარის წერა რომელ ბლაღოჩინს გვეკუთვნის, რადგან მღვდლის შვილებს კანონით ადგილობითი ბლაღოჩინმა ან მოძღვართ-მოძღვარმა უნდა დასწეროს ჯვარი».

რასაკვირველია, იმ ბლაღოჩინს ეკუთვნის გვირგვინის კურთხევა, ვის საბლაღოჩინო მაზრასაც ეკუთვნიან მღვდლის შვილები და არა იმას, რომელ საბლაღოჩინო მაზრაშიაც აქვსთ მათ ადგილ-მამული და სახლ-კარობა.

ჩვენ მივიღეთ ერთი პატივცემული მეგრელისაგან შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ და ამ წერილში მოხსენებული საეჭვო კითხვების განსამარტებლად.

„ოთხმოცი წლის მოხუცებული ბიძა ჩემი გახდა ავად ამა წლის სექტემბრის თვისას, რომელ რიცხვში კარგად არ მახსოვს ვსთხოვე ადგილობითი მღვდელს და აზიარა, შემდეგ გახდა კიდევ ავად 18-ტს ნოემბერს, ვსთხოვე მღვდელს ზიარება, მაგრამ მღვდელმა მითხრა, ახალი ნაზიარები არის და არ ეკუთვნისო. ავადმყოფი თვითონ არ თხოულობდა ზიარებას, მაგრამ ჩვენ, ჩვეულებისა მებრ, კიდევ მივეცით მღვდელს ცნობა ხელმეორედ, მაგრამ არ მობრძანდა და სთქვა: ოქტომბრის თვის 12-ს გაზიარეთ, ჯერ სრულიად კიდევ არ არის 40 დღეო და არ ეკუთვნისო.

ავადმყოფი მეორე დღეს გარდაიცვალა. მღვდელი ამბობს ორმოცი დღის მეტი არ არისო და ჩემი ანგარიშით 60 დღეც უნდა იყოს. გთხოვთ, მ. რედაქტორო, განმიმარტოთ, თუ რამდენ დღეს ეყოფა კაცს ზიარება.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ წარსულს დიდმარხვის ვნების კვირაში კიდევ იყო ნაზიარები ეკკლესიაში ადგილობითი მღვდლისაგან“.

თუ თვითონ ავად-მყოფი არ თხოულობს ზიარებას, თუ თვით მას არ აქვს სურვილი ზიარებისა, მაშინ იმისთვის ზიარება უქმი არის. მომაკვდავს თვითონ უნდა სურდეს ზიარება. თუ სნეულს გრძნობა აღარ აქვს, მაშინ სულ არ შეიძლება ამისთანა ავად-მყოფის ზიარება. თუ სნეული სარწმუნოებით და სასოებით ითხოვს ზიარებას, მაშინ ასეთ სნეულს ერთი კვირის შემდეგაც შეუძლია აღსარება სთქვას და ეზიაროს და არც ერთი მღვდელი მას უარს არ ეტყვის.

„1889 წელში, განაგრძობს იგივე, მე ვითხოვე ქალი ჯვარ დაუწერელად. 1890 წელში იანვრის თვეში ჩემს ქალს დაებადა ვაჟი შვილი ჩემგან. ამა წელში ოქტომბრის თვეში მე ჯვარი დავიწერე და იმავე დღეს ბავშვიც მოვანათვლიე ზემოხსენებულ ჩვენ მღვდელს. შემდეგ მღვდელმა მითხრა: ახლად დაბადებული უკანონო შვილად უნდა ჩაიწეროს საბუთებშიო. ეს ფრიად საწყენად დამირჩა.

გთხოვთ განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა დაიწეროს კანონიერ შვილად ეს ბავშვი, რადგან მე მსურველი ვარ.

მე დალოცვილო, თქვენ ეხლა იქნება აზნაურების სიამიაც ისურვოთ ამ ბავშვის ჩაწერა, მაგრამ ვინ აღგისრულებსთ ამ თხოვნას!.. თუ კანონიერ შვილად გინდოდათ დაწერილიყო ეგ ბავშვი, ჯერედ გვირგვინს ვიკურთხებდით და მერე შვილიერობას შეუდგებოდით. თქვენ კი უკუღმა დაგიწყიათ საქმე და უკუღმართად დაიწერება, რასაკვირველია. აქ მღვდელი დამნაშავე არ არის. კარგია კიდევ, რომ საქმე არ შეგვდგომიათ, თორემ მოხასტერშიაც გაგზავნიდენ მოსანანებლად და დაგსჯიდენ. თქვენ წაგვიკითხავსთ რაღაცა ადრე დაბადებული ბავშვების კანონიერად ჩაწერის შესახებ, მაგრამ კარგად ვერ გამოგიტანიათ წაკითხულის აზრი. აი საქმე რაშია: ვსთქვათ, ვინმემ გვირგვინი იკურთხა იანვრის თთვის 30 რიცხვს, ამ დედოფალს დაებადა ქალი ან ვაჟი ამავე წ. თებერვლის 28-ს, თუ გინდ მარტში. ეს ადრე დაბადებული ბავშვი ქმარს შეუძლია კანონიერ შვილად დაიწეროს და მღვდელს არა აქვს უფლება უკანონოდ ჩასწეროს ასე ადრე დაბადებული და არა ისინი, ვინც ქორწინებამდისინ დაჰბადებია ცოლ-ქმარს.

## რედაქციის პასუხი.

ილ. ფ—ძეს. თქვენი ლექსი არ იბეჭდება. კარგად რომ დააკვირდეთ, თვითონაც მიხვდებით, რომ კარგი მიბაძვა არ არის.

მღვ. ა. არდი—ს. ზოგიერთებს თავის თავი ყველაზე მცოდნეთ მიაჩნიათ, მაგრამ ხშირად ასეთნი პირნი ძლიერ მოტყუებულნი არიან. სცდებით, როცა ამბობთ, რომ თითქო ერთ დღეს ერთსა და იმავე ეკკლესიაში ორი გვირგვინის კურთხევა არ შეიძლებოდეს, ისე როგორც ერთ ეკკლესიაში ორჯერ არ იწირება. თქვენ ემდურით სემინარიელ მღვდელს, რომელიც არ დათანხმებულა თქვენს აზრზედ, მაგრამ ვერ ამჩნევთ, რომ სემინარიელი ამ შემთხვევაში მართალია და თქვენ კი ძლიერ სტყუით. არასოდეს «მწყემს»-ს არ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ერთ დღეს ერთსა და იმავე ეკკლესიაში ორი გვირგვინის კურთხევის შესრულება არ შეიძლებაო. ყველა გამოგზავნილ კორრესპონდენციებს დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ, თუ დაბეჭდვის ღირსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ავტორებისაგან მოწონებული სტატიები ჟურნალ-გაზეთისათვის კაპეიკათ არა ღირან და ეს არის მიზეზი, რომ არ იბეჭდებიან და არა სხვა, რომელსაც თქვენ ფიქრობთ.

შინაარსი: «სასულიერო მახარებელი საქართველოსი». სწავლა-განათლების საქმე რაჭის მაზრაში.—მღვდლის საიდუმლო.—ახალ მოძღვარს (ლექსი).—ხარება (ლექსი).—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან.—საეჭვო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 30 Марта 1891 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.